SEARCHING FOR GEORGIAN (KARTVELIAN) ETHNOS IN PONTUS AND CAPPADOCIA ACCORDING TO THE SCIENTIFIC WORKS OF GIORGI GOZALISHVILI

ქართული ეთნოსის ძიება პონტოსა და კაპადოკიაში გიორგი გოზალიშვილის სამეცნიერო ნაშრომების მიხედვით

Chabuka Metonizde
Master of History; TSU Old World History Department PhD student
Visiting Lecturer of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, 1 Ilia Chavchavadze Avenue, 0179, Georgia,
+995597078575, chabuka.metonidze@tsu.ge
https://orcid.org/0009-0008-3727-6744

Abstract. The problem of the Georgian ethnos formation remains one of the key questions in the history of the Ancient world. Although have been conducted in this direction the most important historical, archeological, anthropological studies, the issue of lack of direct empirical material and differences is not considered fully explored. There are very diverse and numerous scientific studies in this direction: Ivane Javakhishvili, Simon Janashia, Grigol Giorgadze, Giorgi Melikishvili, Otar Japaridze, etc., the specific perceptions of the sources present the mentioned topic differently. This becomes even more striking when it comes to nomadic tribes outside the territory of Georgia, in Ancient Asia, Pontus and Cappadocia. If all the leading scientists of the history of the Ancient world tried to express their opinion in the historical process taking place in the territory of Georgia, few Georgian scientists dared to express their opinion on the research of the ethnic processes taking place in the mentioned territories of Ancient Asia. This stemmed from Soviet ideological pressure, according to which it was undesirable to aspire to a subject that explored ethnic processes outside the Soviet Union. This was seen all the more sharply in terms by I.B. Stalin's of well-known doctrine, according to which the study of ethnos was less relevant in archaic and feudal societies, because the formation and perfection of the nation, had to take place from the 19th century, in the wake of the formation of capitalism. This was also the case with the Georgian (Kartvelian) ethnic group. It is not surprising that Georgian scientists had to covertly tell their truth with a softened tone and various machinations, so as not to be caught in the wave of repression. Only the units were able to research from a different angle than this prevailing ideology. In many cases, their scientific works were victims of the censorship of the Soviet totalitarian regime. In the best case, the scientific community would exclude them (with the label "gifted" of nationalist dilettante scientist).

Keywords: history, Ethnic Society, science, Georgian (Kartvelian) Ethnos, Giorgi Gozalishvili.

ჭაბუკა მეტონიძე
ისტორიის მაგისტრი,
თსუ ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის დოქტორანტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი,
ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1, 0179, საქართველო,
+995597078575, chabuka.metonidze@tsu.ge
https://orcid.org/0009-0008-3727-6744

აბსტრაქტი. ქართული ეთნოსის ჩამოყალიბების პრობლემა ძველი მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთ საკვანძო საკითხად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი ისტორიული, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური კვლევებია ჩატარებული, პირდაპირი ემპირიული მასალის ნაკლებობისა და განსხვავებულობის გამო საკითხი ბოლომდე შესწავლილად არ მიიჩნევა. ამ მიმართულებით არსებობს ძალზე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი სამეცნიერო კვლევები: ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, გრიგოლ გიორგაძის, გიორგი მელიქიშვილის, ოთარ ჯაფარიძის და ა.შ., წყაროების სპეციფიკური აღქმები განსხვავებულად წარმოაჩენს აღნიშნულ თემატიკას. ეს კიდევ უფრო თვალშისაცემი ხდება, როდესაც საქართველოს ტერიტორიის გარეთ, წინა აზიაში, პონტოსა და კაპადოკიაში მცხოვრებ ტომებს ეხება. თუ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე ისტორიულ პროცესში საკუთარი აზრის დაფიქსირება ძველი მსოფლიოს ისტორიის ყველა წამყვანმა მეცნიერმა სცადა, წინა აზიის აღნიშნულ ტერიტორიებზე მიმდინარე ეთნიკური პროცესების კვლევაზე ქართველ მეცნიერთაგან მცირედმა გაბედა საკუთარი აზრის დაფიქსირება. ეს გამომდინარეობდა საბჭოთა იდეოლოგიური წნეხიდან, რომლის მიხედვითაც არასასურველი იყო იმგვარი თემატიკისადმი ლტოლვა, რომელიც საბჭოთა კავშირის მიღმა არსებულ ეთნიკურ პროცესებს გამოიკვლევდა. ეს მით უფრო მკვეთრად ჩანდა ი.ბ. სტალინის ცნობილი მოძღვრების ჭრილში, რომლის მიხედვითაც ეთნოსების კვლევა არქაულ და ფეოდალურ საზოგადოებებში ნაკლებად რელევანტური იყო, რადგან ერის, ნაციის ჩამოყალიბება-სრულყოფა XIX საუკუნიდან, კაპიტალიზმის ჩამოყალიბების კვალდაკვალ უნდა მომხდარიყო. ასე იყო ქართველური ეთნოსის შემთხვევაშიც. გასაკვირი არაა, რომ ქართველ მეცნიერებს უწევდათ შერბილებული ტონით და სხვადასხვა მაქინაციებით, დაფარულად ეთქვათ საკუთარი სიმართლე, რამეთუ რეპრესიების ტალღაში არ მოხვედრილიყვნენ. მხოლოდ ერთეულები ახერხებდნენ ამ გაბატონებული იდეოლოგიისგან განსხვავებული კუთხით კვლევას. მათი სამეცნიერო ნაშრომები ხშირ შემთხვევაში საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ცენზურის მსხვერპლი ხდებოდა. უკეთეს შემთხვევაში სამეცნიერო საზოგადოება მათ გარიყავდა (ნაციონალისტი დილეტანტი მეცნიერის იარლიყით „შემკულებს“).

საკვანძო სიტყვები: ისტორია, ეთნიკური საზოგადოება, მეცნიერება, ქართული (ქართველური) ეთნოსი, გიორგი გოზალიშვილი.

შესავალი. ეთნიკური საზოგადოების ჩამოყალიბება რთული და მრავალპლანიანი პროცესია. ეთნოსის, ერის, ნაციის ჩამოყალიბება განსხვავებული თვალთახედვით იქნა გააზრებული XIX საუკუნიდან, როდესაც იწყება ეროვნული საზოგადოებების ფორმირების პროცესი. ტომის, ხალხის, ეთნოსის ფენომენმა განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ XIX-XX სს. შეიძინა. დიდი ერების შემთხვევაში ეს პროცესი შედარებით უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა, ხოლო პატარა ერების ჩამოყალიბებისას მრავალი წინააღმდეგობა გამოიკვეთა. აღმოსავლური ასურულ-ურარტული წარწერები, ასევე დასავლური, ბერძნულ-რომაული წერილობითი ძეგლები ბოლომდე სიცხადეს ვერ ფენენ აღნიშნულ საკითხს. იგივე შეიძლება ითქვას ქართველურ ეთნოსზეც, რადგან ქართველური ტომების შესახებ არსებული პირდაპირი სახის ემპირიული მასალა, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკა, ნუმიზმატიკა ძალიან მწირია. დღემდე დავის საგანია, რა პერიოდიდან შეიძლება მივიჩნიოთ ქართველურ ტომთა გაერთიანებებში ეთნიკური სუბსტრატის არსებობა (მეტონიძე, 2022: 56). აღნიშნული პრობლემა მეტ სიმძაფრეს იძენს, როდესაც ქართველური ეთნოსის ჩამოყალიბებაზე ვარაუდები გამოითქმევა არა უშუალოდ მათი დასახლების ძირითად არეალზე (ამჟამინდელი საქართველოს ტერიტორია), არამედ პონტოსა და კაპადოკიაში, ანუ წინა აზიაში.

წინამდებარე სტატიაში საუბარი იქნება ქართველური ეთნოსის ჩამოყალიბებაზე და ამ პროცესის კვალზე პონტოსა და კაპადოკიაში ქართველი მეცნიერის, ისტორიკოსის, პროფესორ გიორგი გოზალიშვილის (1900-1988) ნაშრომების მიხედვით. გ. გოზალიშვილი ახლადგახსნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი კურსდამთავრებულია. მან თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო. მათ ერთობლივად დააარსეს უნივერსიტეტში ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრა. გ. გოზალიშვილმა ღირსეულად გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის საქმე. უმძიმესი რეპრესიებისა და დაპატიმრებების მიუხედავად, გ. გოზალიშვილმა ღირსეულად შეძლო თავის დაჭერა და ქედი არ მოუხარა საბჭოთა ტოტალიტარიზმის შავბნელ იდეოლოგიას. მისი მთავარი მიზანი იყო ძველი მსოფლიოს ისტორიის კონტექსტში ქართველური სამყაროს ადგილის მოძებნა. მიუხედავად დიდი წნეხისა, იგი მაინც არ შეეპუა იდეოლოგიურ მარწუხებს და აქტიურად მუშაობდა ქართული კვალის დადგენაზე მსოფლიოს ისტორიაში. წინამდებარე სტატიის მთავარი მიზანია ვაჩვენოთ გ. გოზალიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობის რეალური სახე, დავასაბუთოთ მისი კვლევების მეცნიერული ღირებულება თანამედროვე მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებით ქართველურ ტომთა ეთნიკური პრობლემის კუთხით.

მეთოდები. სტატიაში გამოყენებულია მულტი- და ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდები: შედარებით-ისტორიული, ანალიზისა და სინთეზის, იდეოგრაფიული (აღწერითი), კონტენტ-, კომპარატიული- და დისკურსის ანალიზი; ლოგიკური მოდელირების, ინტროსპექციის, რეტროსპექციის მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა. ქართველურ ტომებში ეთნოსის ჩამოყალიბების პროცესი ხანგრძლივად, ეტაპობრივად, თანდათანობით მიმდინარეობდა. პირველი ევრაზიელის კვალი ჩვენს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 1800000-1700000 წლის წინათ იქნა დაფიქსირებული. თუმცა, ამ ეტაპებიდან მოყოლებული მტკვარ-არაქსის კულტურამდე პერიოდი ე.წ. პრეისტორიულ ეპოქას განეკუთვნება. ადრებრინჯაოს ხანის დაახლ. ძვ.წ. 3500 წლიდან იწყება ტომობრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბების პროცესი. როგორც ენათმეცნიერები აღნიშნავენ, ქართველურ ტომებში, დაახლ. ძვ.წ. მე-3 ათასწლეულის დასაწყისიდან უნდა ვივარაუდოთ ერთიანი ქართველური ენის ჩამოყალიბების პროცესის

დასაწყისი, რომლის შიგნითაც მიმდინარეობდა როგორც შიდა, ისე გარემიგრაციული პროცესები.

ერთიან ქართველურ ტომთა კავშირში მოიაზრება როგორც ე.წ. კოლხური, ანუ მეგრულ-ჭანური (ლაზური) მოსახლეობა, ისე სვანური და აფხაზურ-ჩრდილოკავკასიური ელემენტი, აგრეთვე, ე.წ. იბერიული, აღმოსავლურქართული ტომობრივი ორგანიზაციები. გარდა ამისა, ყალიბდება მესხური ტომები. მიუხედავად ამგვარი კონცეფციისა, ამ ტომების ერთიან სახელმწიფო სისტემაში არსებობა არ დასტურდება. ამდენად, მათ ეთნიკურ თავისებურებებს პრიმიტიული, ჩანასახის ფორმები გააჩნია და შეიძლება ითქვას, რომ მათში ეთნოსის განცდა თითქმის არ არის. რა უნდა გამხდარიყო ქართველურ ტომებში ეთნიკურობის ჩამოყალიბების სტიმულატორი, რას შეეძლო გამოეწვია ქართველურ ტომებში გაერთიანებისა და ეთნოსად ჩამოყალიბების პროცესი?

ყოველი ერის და საზოგადოების ფორმირება გარკვეული ეტაპებით მიმდინარეობს. ტომობრივი ორგანიზაციის ეთნოსად გარდაქმნას კატალიზატორი (დამაჩქარებელი) სჭირდება. ქართველურ ტომებში ამგვარი კატალიზატორის ფუნქცია, ჩვენი აზრით, რამდენიმე ფაქტორმა შეასრულა. პირველი: დიდმა მიგრაციულმა პროცესებმა, რომლებიც ძვ.წ. VIII-VII სს. იწყება წინა აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში, რამაც ჩვენს რეგიონში მძლავრი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კატაკლიზმები გამოიწვია. მეორე: დიდმა ბერძნულმა კოლონიზაციამ, რომელიც ინტენსიურ სახეს ძვ.წ. VIII-VI სს. იძენს. მესამე: წინა აზიაში გაბატონებული ორი მძლავრი იმპერიის – ასურეთი-ურარტუ – ინტენსიურმა დამპყრობითმა პოლიტიკამ. ყველა ამ ფაქტორის არსებობამ ტომობრივი კავშირების გაერთიანებისა და გამსხვილების პროცესი განაპირობა, რადგან შიდა და გარე ფაქტორები აიძულებდა მათ ამ ნაბიჯის გადადგმას.

მიგვაჩნია, რომ ქართველური ტომების ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემაში მოქცევა ძვ.წ. IV საუკუნის II ნახევარში (ფარნავაზის ეპოქა) იყო დასრულებული სახით ეთნოსად ჩამოყალიბების განმაპირობებელი.

აღნიშნული საკითხი ქართულ სამეცნიერო სივრცეში ახლებური ინტერპრეტაციით შემოიტანა პროფესორმა გიორგი გოზალიშვილმა, როდესაც გამოაქვეყნა მონოგრაფიები „ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან“ (1965) და „მითრიდატე პონტოელი“ (1965). დასახელებულ ნაშრომებში მთავარი აქცენტები პონტოსა და კაპადოკიის რეგიონებში მოსახლე ტომების ქართველურ წარმომავლობაზეა გაკეთებული და გამოთქმულია მოსაზრება, რომ თვით დიდი მითრიდატე პონტოელიც შესაძლებელია ყოფილიყო ქართველური წარმომავლობის. ბუნებრივია, ეს მოსაზრება სამეცნიერო წრეებში კამათს იწვევს, თუმცა თავად ის ფაქტი, რომ პონტოსა და კაპადოკიაში მოსახლე ტომებში ეთნიკური სივრცის მნიშვნელოვანი ნაწილი შესაძლოა ყოფილიყო ქართველური, მეტ დამაჯერებლობას იძენს.

გ. გოზალიშვილის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები ფრიად საინტერესოა, თუმცა იმ ხანად, როდესაც ეს მოსაზრებები გამოითქვა, სამეცნიერო წრეებში მათ მიმართ მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულებები ჩამოყალიბდა. ამგვარი დამოკიდებულებები განსაკუთრებით ნათლად აისახა პროფ. ნოდარ ლომოურის ნაშრომში «К истории Понтийского царства», ч. I (Ломоури, 1979: 24). ამ წიგნის მთავარი მიზანი პონტოს სამეფოს ძირითადი თავისებურებების აღწერაა, რაც ავტორის აზრით მთლიანად გამორიცხავს ქართველური ეთნიკური ელემენტის არსებობას ამ გეოგრაფიულ სივრცეში. ნ. ლომოურის აზრით, პონტოს სამეფოს ეთნიკურ სივრცეში მთავარ როლს არა ქართველური წარმომავლობის ხალხი, არამედ პაფლაგონიელები და სირიელები ასრულებდნენ. განსაკუთრებით ნეგატიური დამოკიდებულება ნ. ლომოურს გამოთქმული აქვს მითრიდატე პონტოელის ვინაობის მიმართ. მისი აზრით, მითრიდატე პონტოელის ეთნიკურად ქართული წარმომავლობა არარეალურია. „მეცნიერებაში პატრიოტობა ის კი არაა, მაინცა და მაინც ქართველად გამოაცხადო რომელიმე ისტორიული პიროვნება მაშინ,

როდესაც საამისო მყარი საბუთები არ არსებობს. ჭეშმარიტი პატრიოტობა არის ღმა და პირუთვნელი წარმოჩენა შენი ერის ისტორიული ნამოღვაწარისა, მისი ფხიზელი და მეცნიერული შეფასება, ჩვენი მეცნიერების დაცვა პროვინციული ცრუ პატრიოტიზმისგან, რომელსაც მისთვის მხოლოდ სახელის გატეხვა შეუძლია. ფარსმან ქველისა და ვახტანგ გორგასლის, იაკობ ცურტაველისა და ექვთიმე ათონელის, დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალის, იოანე პეტრიწისა და რუსთაველის პატრონთ რაში გვჭირდება მითრიდატე პონტოელის მაინცა და მაინც გაქართველება, ან თუნდაც კომნენოსთა დინასტიის ქართული წარმომავლობისად დასახვა“, – წერს ნ. ლომოური (ლომოური, 1982: 183). მოცემული შეფასება გ. გოზალიშვილის კონკრეტული ნაშრომის ფაქტობრივი დასამარების მცდელიობაა. ლომოურის მიხედვით, გოზალიშვილის გამოკვლევები ეთნიკური იდენტობის შესახებ ურაპატრიოტული სულისკვეთების გამოვლინებაა და არაფერი აქვს საერთო მაღალ მეცნიერულ ღირებულებებთან. პროფ. გ. გოზალიშვილის ამგვარი ტიპის შეფასებები იმ პერიოდში ხშირად გამოითქმებოდა. მას ადანაშაულებდნენ „ქართველობისადმი განსაკუთრებულ პატივისცემაში“. რეალურად მის კალამს ეკუთვნის არაერთი საინტერესო გამოკვლევა. ასეთია ნაშრომი ბიზანტიაში მოღვაწე ქართველი მხედართმთავრის გრიგოლ ბაკურიანის ძის შესახებ – „არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკური იბერიის მეფე“ (გოზალიშვილი, 1946: 1-20), გამოკვლევა იბერიის მეფე ბაკურზე – „ქართლის მოქცევის პრობლემა და ბაკური“ (გოზალიშვილი, 1974: 99), მისივე გამოკვლევა რომის ექსპანსიის წინააღმდეგ შავი ზღვის სანაპიროზე – „პირველ საუკუნეში ქართველ ტომთა აჯანყების შესახებ“ (გოზალიშვილი, 1949: 131-152), ასევე მის კალამს ეკუთვნის ნაშრომი „კვლავ სამი დიდი კაპადოკიელის ვინაობის ირგვლივ“ (გოზალიშვილი, 1971: 88-104).

როგორც ვხედავთ, პრაქტიკულად გ. გოზალიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის დიდი ნაწილი როგორც პირდაპირ, ისე ირიბად მსოფლიო ისტორიაში ქართული საკითხის მეცნიერულ შესწავლას ეხება რაც, ბუნებრივია, საბჭოთა ტოტალიტარული იმპერიისთვის, რბილად რომ ვთქვათ, არ წარმოადგენდა ინტერესის სფეროს. პირიქით, საბჭოთა პროპაგანდა ცდილობდა ერთიანი საბჭოთა ადამიანის თვალსაზრისიდან დაენახა წარსულიც და აწმყოც. აქედან გამომდინარე, გ. გოზალიშვილის სამეცნიერო კვლევები არ გამხდარა ფართო სამეცნიერო შესწავლის საგანი, ქართველ მეცნიერს უყურებდნენ ვიწრო ეროვნულ/სეპარატისტულ პრიზმაში. განსაკუთრებით ეს ქართველთა ეთნიკური საკითხის კვლევას ეხება (პონტო, კაპადოკია).

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ეთნოსის ჩამოყალიბება განსხვავებულად იყო გააზრებული და ის სახელმწიფო იდეოლოგიას ექვემდებარებოდა. ეს იდეოლოგიური წნეხი კიდევ უფრო გამძაფრდა ი.ბ. სტალინის მოძღვრებიდან გამომდინარე, როდესაც ქართველური ეთნოსის ჩამოყალიბება XIX საუკუნის ე.წ. კაპიტალიზმის ჩამოყალიბებას დაუკავშირდა. აღნიშნულ მოსაზრებას გარკვეულწილად უპირისპირდებოდა ქართველი მეცნიერების მცირე ჯგუფი: აკად. სიმონ ჯანაშია, აკად. ნიკო ბერძენიშვილი, აკად. ივ. ჯავახიშვილი. თუმცა, მათი შეხედულებები, გამომდინარე საბჭოთა ტოტალიტარული კონიუნქტურიდან, შერბილებული სახით იყო წარმოდგენილი.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან შეხედულებები სტალინის მოძღვრებაზე იცლება, რამაც ქართველ მეცნიერებს საშუალება მისცა მანამდე ტაბუირებული თემატიკა ახლებურად წამოეწიათ. ახალი მიმდინარეობის ავანგარდში აღმოჩნდა პროფ. გ. გოზალიშვილიც, რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით ძალზე მნიშვნელოვანი გამოკვლევები ჩაატარა და ნაშრომები შექმნა. მათში ასახულია ქართველურ ტომთა ეთნიკური და გეოგრაფიული არეალი.

გ. გოზალიშვილის კვლევის მთავარი ობიექტი წინა აზიაში ქართველური ეთნოსის კვალის დადგენა იყო. იმ ხანად ქართველური ეთნოსის განსახლების ძირითად არეალად მხოლოდ კავკასია, კერძოდ, ამჟამინდელი საქართველოს ტერიტორია ითვლებოდა. რაც

შეეხება პონტოსა და კაპადოკიას, იქ ძირითადად მოიაზრებოდა არაქართული ეთნიკური ჯგუფები. ამის საპირისპიროდ გ. გოზალიშვილმა გამოაქვეყნა გარკვეული ბერძნული და რომაული წყაროების თარგმანები წიგნში „ძველი ისტორიის ქრესტომათია“, ტ. I, 1951; ტ. II, 1958. გარდა ამისა, მან გამოსცა არაერთი ბერძნული და ლათინური ნაშრომის თარგმანი, რომლებშიც მკაფიოდ ჩანდა, რომ კაპადოკიისა და პონტოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ხალიბების მესხური ტომი შეადგენდა, რომელიც განთქმული იყო, როგორც რკინის პირველი მწარმოებლები/მეტალურგები. სწორედ ისინი სახლობდნენ პონტოსა და კაპადოკიაში მდებარე დასახლებებში, მდინარე ჰალისის მიდამოებში (დასავლეთ სანაპიროზე).

გ. გოზალიშვილი არსებულ კვლევებში მრავალ ბერძნულ-ლათინურ წყაროს იყენებს, რომელთა შეჯერების საფუძველზე აჩვენებს ქართველური ეთნოსის ეთნიკური და გეოგრაფიული განსახლების სივრცეს. მეცნიერის მიზანი არ არის აქსიომად აქციოს აღნიშნული მოსაზრება, პირიქით, ის გარკვეულ თეორიებზე დაყრდნობით ცდილობს თქვას თავისი მთავარი სათქმელი: შეუძლებელია ქართველური ეთნოსის სამოქმედო არეალი მხოლოდ კავკასიის ტერიტორიით ყოფილიყო შეზღუდული. სავარაუდოდ, როგორც ამას აკად. ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავს, ქართველური ეთნიკური სუბსტრატის წარმოშობა-ჩამოყალიბება უნდა მომხდარიყო როგორც კავკასიაში, ისე წინა აზიის მთელ სივრცეში.

რაც შეეხება თანამედროვე, მათ შორის, პოსტსაბჭოთა კვლევებს, მეცნიერთა უმრავლესობის მიერ ეთნოსის რაობის მეტ-ნაკლებად შეჯერებული ვარიანტია წარმოდგენილი. გამორჩეულად საინტერესო ბოლოდროინდელი კვლევები შემოგვთავაზა ფილოსოფიის დოქტორმა რ.ს. გაჯიევმა: „ეთნოსი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა ერთობა, რომლებსაც აქვთ საერთო შედარებით სტაბილური კულტურული ნიშნები და ზოგიერთი საერთო ფსიქიკური თვისება, ისევე როგორც მათი ერთიანობისა და სხვა მსგავსი წარმონაქმნებისგან განსხვავების შეგნება“ (Гаджиев, 2015: 55). აღნიშნული თეორიიდან ნათელია, რომ არსებითი ნიშნები თავად ქმნიან ეთნოსის, როგორც ცნების აზრობრივ დატვირთვას, ეს კი მისი კულტურული და ფსიქოლოგიური თავისებურებებია, რასაც განსაზღვრავს საზოგადოების სულიერი ერთობა. გაჯიევის ძირითადი ნაშრომები მიძღვნილია ეთნიკური ჯგუფების ტიპოლოგიური კლასიფიკაციისა და ცნების „ეთნოსი“ შინაარსის სოციალურ-ფილოსოფიური ანალიზისადმი. გაჯიევის თანახმად, ცნება „ეთნოსს“ არა სოციალური კომპონენტი, არამედ კულტურული, ზოგადად სულიერი თავისებურებები ასაზრდოებს. საინტერესოა მისი დაკვირვება ცნებების „ეთნოსი“ და „ტომი“ შეპირისპირებისას: „მიგვაჩნია, რომ ტომი არ არის ეთნიკური საზოგადოების ტიპი და მისი იდენტიფიკაცია ეთნოსის კონცეფციასთან მეთოდოლოგიურად არასწორია“ (Гаджиев, 2015: 55). გაჯიევი იზიარებს პროფ. ლევ გუმილიოვის თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ეთნოსი არ არის საზოგადოება, ანუ სოციალური სისტემა, ამასთან, ეთნოსი ასევე არ არის ბუნებრივი ფენომენი. პროფ. რ. გაჯიევი აღნიშნავს: „ეთნოსი გარკვეულ ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული, საერთო წარმოშობის იდეის მატარებელი, შედარებით სტაბილური კულტურული და ფსიქოლოგიური თავისებურებების მქონე, საუკუნეების განმავლობაში განვითარებული ღირებულებების თაობიდან თაობაზე გადამცემი და ქცევის გამორჩეული სტერეოტიპების მქონე ხალხის ერთობაა, რომელიც განსხვავებულია სხვა მსგავსი სოციო-კულტურული სისტემებისგან“ (Гаджиев, 2015: 59).

საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს პროფ. ლივ დონელანი. ის აღნიშვავს, რომ „ბოლოდროინდელმა კვლევებმა გამოავლინა ეთნიკური იდენტობის შესაძლო ხასიათი და ხაზი გაუსვა, რომ ბიოლოგიური რასა და ეთნიკური წარმონაქმნი, სოციალური იდენტობა ერთი და იგივე არ არის... ზოგჯერ თანამედროვე ნაციონალიზმი ან იდეოლოგია კვლევის საგანს ერწყმის“ (Donnellan, 2004-2005: 189-190).

თანამედროვე შეხედულებებიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია ქართველური ეთნოსის ჩასახვა და განვითარება არა მხოლოდ უშუალოდ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ წინა აზიაში, კერძოდ, პონტოსა და კაპადოკიაში. შესაბამისად, პროფესორ გიორგი გოზალიშვილის მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში სავსებით რელევანტურია და დეტალურ შესწავლას საჭიროებს.

დასკვნები. თუ თანამედროვე კვლევებს შევაჯერებთ გ. გოზალიშვილის მოსაზრებებთან, მივიღებთ საინტერესო სურათს: ქართველური ეთნიკური სამყაროს/ბუსტრატის ჩამოყალიბება ერთბაშად არ მომხდარა. მას საუკუნეების განმავლობაში მუდმივი ცვალებადობა ახასიათებდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის მოქცეული იყო როგორც აღმოსავლური იმპერიების და სახელმწიფოების, ისე დასავლური, ე.წ. ბერძნულ-რომაული გავლენის არეალში, თუმცა უცხო გავლენის პარალელურად ის მუდმივად ცდილობდა საკუთარი იდენტობის ფორმირებას და შენარჩუნებას. ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლური ლაშქრობების პირობებში, რასაც მოჰყვა ქართლის სამეფოს ჩამოყალიბება ფარნავაზის ეპოქაში. ამ პროცესში მონაწილეობდა როგორც აღმოსავლურ ქართული, ე.წ. იბერიული ცივილიზაცია თავისი მესხური ეთნოსის ელემენტით, ისე დასავლურ ქართული, ე.წ. კოლხური ცივილიზაცია. სწორედ მესხური ეთნოსის კვალი იკითხება კაპადოკიასა და პონტოში არსებულ ისტორიულ სახელმწიფოებში. მაშასადამე, მიგვაჩნია, რომ პროფ. გიორგი გოზალიშვილის ღვაწლი ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის ახლებურ გააზრებაში მეტად ღირებულია.

გამოყენებული ლიტერატურა

გიორგაძე, გრ. (2002). *უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა.* თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გოზალიშვილი, გ. (1946). არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკური იბერიის მეფე. *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის.* ისტორიის ინსტიტუტი. თბილისი: თსუ.

გოზალიშვილი, გ. (1949). პირველ საუკუნეში ქართველ ტომთა აჯანყების შესახებ. *თსუ შრომები.* ტ. 37. თბილისი: თსუ.

გოზალიშვილი, გ. (1971). კვლავ სამი დიდი კაპადოკიელის ვინაობის ირგვლივ, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების გამო. *მნათობი.*

გოზალიშვილი, გ. (1974). *ქართლის მოქცევის პრობლემა და ბაკური.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

გორდეზიანი, ლ. (2012). *ძველი ისტორიის ნარკვევები.* თბილისი: თსუ.

გორდეზიანი, ლ. (2016). ძველაღმოსავლურ და ანტიკურ ტექსტებში ქართველთა აღმნიშვნელი ეთნონიმების ინტერპრეტაციისათვის. *VII საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები.* თბილისი.

გორდეზიანი, ლ. (2019). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნიკური სურათისთვის (ლურსმული ტექსტების მიხედვით). კრებულში: *საქართველო - უძველესი მეტალოგენური კერა.* ბათუმი.

ლომოური, ნ. (1982). კვლავ პონტოს სამეფოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის საკითხისთვის. დისკუსია და განხილვა. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.* #1, თბილისი.

მელიქიშვილი, გ. (1953). *ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის.* ლექცია, თბილისი.

მელიქიშვილი, გ. (1965). *საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

მეტონიძე, ჭ. (2022). ეთნოსის ჩამოყალიბების ძირითადი თავისებურებები ქართველურ ტომებში. *პროფესორ შოთა ჩართოლანის დაბადებიდან 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.* მესტია.

ჯავახიშვილი, ივ. (1950). *საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჯანაშია, ს. (1937). თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. *ენიმეკის მოამბე,* ტ. I. თბილისი.

ჯაფარიძე, ო. (1976). *ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის.* თბილისი. თსუ.

Donnellan, L. (2004-2005). *Ethnic identity in the Western Black Sea area. The cases of Histria, Kallatis and Apollonia Pontika (7th – 4/3rd centuries BC).* TALANTA XXXVI-XXXVII.

Гаджиев, Р. С. (2015). *К содержанию понятия «этнос» (социально-философский анализ).* Получено из https://ras.jes.su/vphil/s207987840001116-6-1

Ломоури, Н. (1979). *К истории Понтийского царства.* Тбилиси. ТГУ.

REFERENCES

giorgadze, gr. (2002). *udzvelesi akhloaghmosavluri etnosebi da kartvelta ts'armomavloba [Ancient Middle Eastern ethnic groups and Georgians (Kartvelians) origin].* Tbilisi: Ilia University Publishing House.

gozalishvili, g. (1946). aris tu ara berdznul-latinuri ts'qaroebis bak'uri iberiis mepe [Are there Greek-

Latin sources's Bakuri the king of Iberia]. *masalebi sakartvelosa da k'avk'asiis ist'oriistvis [Materials for the history of Georgia and the Caucasus].* ist'oriis inst'it'ut'i [Institute of History]. Tbilisi: TSU.

gozalishvili, g. (1949). p'irvel sauk'uneshi kartvel t'omta ajanqebis shesakheb [About the uprising of Georgian (Kartvelians) tribes in the first century]. *tsu shromebi [Proceedings of TSU].* Vol. 37. Tbilisi: TSU.

gozalishvili, g. (1971). k'vlav sami didi k'ap'adok'ielis vinaobis irgvliv, bizant'iur-kartuli lit'erat'uruli urtiertobebis gamo [Again around the identity of the three great Cappadocians. About the Byzantine-Georgian literary relations]. *mnatobi [Mnatobi].*

gozalishvili, g. (1974). *kartlis moktsevis p'roblema da bak'uri [The problem of turning/baptism of Kartli and Bakuri].* Tbilisi: Publishing House "Sabchota sakartvelo".

gordeziani, l. (2012). *dzveli ist'oriis nark'vevebi [Ancient history essays].* Tbilisi: TSU.

gordeziani, l. (2016). dzvelaghmosavlur da ant'ik'ur t'ekst'ebshi kartvelta aghmnishvneli etnonimebis int'erp'ret'atsiisatvis [For the interpretation of ethnonyms denoting Georgians (Kartvelians) in Ancient Eastern and Ancient Western texts]. *VII saertashoriso kartvelologiuri simp'oziumis masalebi [Proceedings of the 7th International Kartvelologian Symposium].* Tbilisi.

gordeziani, l. (2019). samkhret-dasavlet sakartvelos etnik'uri suratistvis (lursmuli t'ekst'ebis mikhedvit) [For the ethnic image of Southwestern Georgia (according to cuneiform texts)]. Collection *sakartvelo - udzvelesi met'alogenuri k'era [Georgia – Ancient metallogenic center].* Batumi.

lomouri, n. (1982). k'vlav p'ont'os samepos mosakhleobis etnik'uri shemadgenlobis sak'itkhistvis. disk'usia da gankhilva [Again for the question of the ethnic composition of the population

of the Kingdom of Pontus. Discussion and consideration]. *sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis matsne. ist'oriis, arkeologiis, etnograpiisa da khelovnebis ist'oriis seria [Herald of the Academy of Sciences of the USSR of Georgia. History, Archaeology, Ethnography and Art History Series].* #1, Tbilisi.

melikishvili, g. (1953). *kartveli khalkhis ts'armoshobis sak'itkhisatvis [For the issue of the origin of the Georgian people].* Lecture. Tbilisi.

melikishvili, g. (1965). *sakartvelos, k'avk'asiisa da makhlobeli aghmosavletis udzvelesi mosakhleobis sak'itkhisatvis [For the issue of the oldest population of Georgia, Caucasus and Near East].* Tbilisi: Publishing House „Metsniereba".

met'onidze, ch'. (2022). etnosis chamoqalibebis dziritadi taviseburebebi kartvelur t'omebshi [The main features of the formation of the ethnic group in Georgian tribes]. *p'ropesor shota chartolanis dabadebidan 90 ts'lis iubilesadmi midzghvnil sametsniero-p'rakt'ik'uli k'onperentsia [Scientific-practical conference dedicated to the 90th anniversary of the birth of Professor Shota Chartolani].* Mestia.

javakhishvili, iv. (1950). *sakartvelos, k'avk'asiisa da makhlobeli aghmosavletis ist'oriul-etnologiuri p'roblemebi [Historical-ethnological problems of the Georgia, Caucasus and Middle East].* Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of the USSR of Georgia.

janashia, s. (1937). tubal-tabali, t'ibareni, iberi [Tubal-Tabal, Tibaren, Iberi]. *enimek'is moambe [Enimek Moambe].* Vol. I. Tbilisi.

japaridze, o. (1976). *kartvel t'omta etnik'uri ist'oriis sak'itkhisatvis [For the ethnic history of Georgian (Kartvelian) tribes].* Tbilisi. TSU.

Donnellan, L. (2004-2005). *Ethnic identity in the Western Black Sea area. The cases of Histria, Kallatis and Apollonia Pontika (7th – 4/3rd centuries BC).* TALANTA XXXVI-XXXVII.

Gadzhiev, R. S. (2015). *K soderzhaniju ponjatija «jetnos» (social'no-filosofskij analiz) [On the content of the concept of "ethnos" (socio-philosophical analysis)].* Retrieved from https://ras.jes.su/vphil/s207987840001116-6-1

Lomouri, N. (1979). *K istorii Pontijskogo carstva [To the history of the Pontic kingdom].* Tbilisi. TGU.